



გალთ & თაგარში

მშენიშ შესაძლებლობებს



ნედლეულის ბაზრის ყოველთვიური მიმოხილვა

12 სექტემბერი 2024



ევა ბოჭორიშვილი


კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochorishvili@gt.ge

კახა სამყურაშვილი

სექტორული კვლევების უფროსი | ksamkurashvili@gt.ge

სერგი ყურაშვილი

უფროსი ანალიტიკოსი | s.kurashvili@gt.ge





ნედლეულის ფასების დინამიკა

ნედლეული	ფასი	ცვლილება, თვე/თვე*	ცვლილება, 2024 წლის დასაწყისიდან	ფასი 2021 წლის იანვრიდან
ამონიუმის ნიტრატი აშშ დოლარი/ტონა	247.5	+7.6%	+37.5%	
ნავთობი (brent) აშშ დოლარი/ბარელი	78.8	-2.4%	+2.3%	
სპილენძი აშშ დოლარი/ტონა	9,118.1	+0.2%	+7.7%	
ფეროსილიკონი (ჩინეთი) აშშ დოლარი/ტონა	1,315.0	-0.8%	-1.5%	
ფეროსილიკონი (ევროპა) აშშ დოლარი/ტონა	1,436.5	-1.6%	+3.9%	
ოქრო აშშ დოლარი/უნცია	2,503.4	+2.3%	+21.3%	
ბუნებრივი აირი აშშ დოლარი/მცტ სთ	43.1	+13.1%	+38.1%	
ხორბალი აშშ დოლარი/ტონა	212.0	+1.0%	-19.2%	

წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: ფასები მოცემულია 2024 წლის 30 აგვისტოს მდგომარეობით

*თ/თ გულისხმობს თვის ბოლო მონაცემების ცვლილებას



ენერჯეტიკა

ნავთობი

2024 წლის აგვისტოში ნავთობის ფასი თვეურად 2.4%-ით შემცირდა. აგვისტოში ფასები მკვეთრად მერყეობდა, რისი მიზეზიც დადებითი და უარყოფითი სენტემენტების ცვალებადობა იყო. თვის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის ესკალაციის შიშები მნიშვნელოვნად მომატებული იყო - გავრცელებული ცნობების თანახმად ისრაელი ირანისგან საპასუხო დარტყმისთვის ემზადებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს რისკი არ მატერიალიზდა, ბირჟაზე ახალი რეგიონული კონფლიქტის კერა გაჩნდა ლიბიის სახით.

ლიბია ორი სხვადასხვა მთავრობის მიერ იმართება - ერთი დასავლეთ ლიბიაში, ტრიპოლიშია დაფუძნებული, მეორე კი აღმოსავლეთში - ბენღაზში. OPEC-ის წევრი ქვეყნის ნავთობ-შემოსავლებს კი ლიბიის ცენტრალური ბანკი აკონტროლებს. ტრიპოლის მთავრობა ცენტრალური ბანკის დირექტორის მოხსნას ცდილობდა. საპასუხოდ აღმოსავლეთ მთავრობამ ნავთობ-ტერმინალების მუშაობის, პროდუქციისა და ექსპორტის შეწყვეტა გამოაცხადა. სიახლის ფონზე ნავთობის ფასი სწრაფად გაიზარდა (3%-ით ერთ სააქრო სესიაში), ვინაიდან ლიბია მსოფლიო ვაჭრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმწოდებელია დღეში საშუალოდ 1.2 მლნ ბარელი წარმოებით. ნავთობის ეროვნული კორპორაციის მონაცემების მიხედვით, თუ პირველ აგვისტოს ლიბიის წარმოება 1.27 მლნ ბარელი იყო, ეს რიცხვი 590 ათას ბარელამდე შემცირდა 28 აგვისტოსთვის. მოგვიანებით ცენტრალური ბანკის მმართველმა განაცხადა რომ მხარეები შეთანხმებას უახლოვდებოდნენ, რამაც ბირჟაზე ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი შეფერხების შიშები გააქარწყლა.

მეორეს მხრივ, ინვესტორების მთავარი ფოკუსი კვლავ გლობალური ეკონომიკის სისუსტე რჩება, განსაკუთრებით კი ჩინეთის, სადაც სამრეწველო აქტივობა (PMI) ზედიზედ მეოთხე თვეა მცირდება. ზოგადად, მსხვილ ეკონომიკებში არასახარბიელო მოლოდინებმა ნავთობის ფასებზე უარყოფითად იმოქმედა და წლის უმცირეს ნიშნულამდე შეამცირა. შედეგად, OPEC-მა გამოაცხადა, რომ წარმოების ზრდა 2024 წლის დეკემბრამდე გადადო. ფასის ზრდა და სენტემენტის ცვლილება ვერც ამ სიახლემ მოახერხა - საინვესტიციო ბანკებმა ნავთობზე მოლოდინები შეამცირეს. Morgan Stanley-ის პროგნოზის მიხედვით, მე-4 კვარტალში საშუალო ფასი ერთ ბარელზე \$75 იქნება, Citi-ს მიხედვით კი მომდევნო წელს შესაძლოა \$60 ვიხილოთ.


რუსეთმა ბენზინის ექსპორტზე მორატორიუმი 2024 წლის ბოლომდე განაგრძო. ეს გადაწყვეტილება თავდაპირველად უკრაინის მიერ რუსულ ნავთობ-ინფრასტრუქტურაზე დარტყმების შედეგად 2024 წლის მარტიდან 6 თვეზე ვრცელდებოდა ადგილობრივი ბაზრის სტაბილიზაციის მიზნით.

გრაფიკი 1: ნავთობის ფასი (BRNOO), აშშ დოლარი/ბარელი



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 2: ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბენზინის და დიზელის იმპორტის მოცულობა წლიურად 5.7%-ით გაიზარდა 7თვ24-ში და 684 ტონა შეადგინა. იმპორტის საშუალო ფასი ამავე პერიოდში 12.6%-ით გაიზარდა.

წყარო: საქსტატი



ენერჯეტიკა

ბუნებრივი აირი

2024 წლის აგვისტოში ბუნებრივი აირის ფასი თვიურად 13.1%-ით გაიზარდა. ზრდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის შედეგი იყო. მათ შორის, ომი რუსეთის ტერიტორიაზე, სხვა ქვეყნებში (ეგვიპტეში) გაჩენილი მოთხოვნა და ნორვეგიული გაზსადენის სამუშაოები.


თვის დასაწყისში უკრაინამ თავისი ყველაზე მასშტაბური შეტევა დაიწყო რუსეთის ტერიტორიაზე კურსკის ოლქში და მალევე დაიკავა ქალაქი სუჟა. სუჟაში მნიშვნელოვანი გაზის სატრანზიტო წერტილია განთავსებული, რომელიც რუსულ გაზს ევროპას აწვდის. სუჟას გავლით გატარებული გაზი ევროპის ჯამური მოხმარების დაახლოებით 3-5%-ია და მისი ტრანზიტის ხელშეწყობა 2024 წლის ბოლოს იწურება, თუმცა, გაჩნდა მოლოდინი, რომ შეფერხებები მაინც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდა მოთხოვნა-მიწოდების ბალანსზე. შესაბამისად, ფასები სიახლის გავრცელებისთანავე გაიზარდა და წლის ყველაზე მაღალ ნიშნულსაც მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო ჯამში ქალაქის უკრაინელების ხელში გადასვლის შემდეგ, გატარებული გაზის მოცულობა არ შეცვლილა, სხვა ფაქტორების დამსახურებით ფასი მაინც მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდა.

ევროკავშირის მოხმარებაში მნიშვნელოვნად იზრდება გათხევადებული ბუნებრივი აირის (LNG) წილი. მისი შედარებით მარტივად ტრანსპორტირებადობიდან გამომდინარე (გაზსადენის აირისგან განსხვავებით, რომელიც რეგიონალური პროდუქტია) ევროპას ახლა LNG-ის სხვა მყიდველებთან უწევს კონკურენცია, განსაკუთრებით კი განვითარებად აზიასთან. კონკურენციას ეგვიპტეც დაემატა, რომელსაც ცხელი ამინდების გამო წარმოების შემცირება მოუწია. ზამთრის თვეებისთვის მოსამზადებლად ქვეყანა LNG-ის 20 პარტიის შეძენას გეგმავს.

ნორვეგიამ, რომელიც ევროპის გაზის მოხმარების 30%-ს აკმაყოფილებს, თავის გაზსადენებზე სარემონტო სამუშაოები დაიწყო. ვინაიდან სამუშაოები დიდი ხნით აღრე იყო დაგეგმილი, მას ბაზარზე მნიშვნელოვანი ეფექტი არ აქვს, თუმცა რაიმე სახის შეფერხებამ ან სამუშაოების გაჭიანურებამ შესაძლოა ფასების ზრდა გამოიწვიოს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის კომპლექსური სამუშაოების დროს მისი გაჭიანურება არც თუ ისე უჩვეულოა.


ევროპის გაზსაცავების თითქმის სავსე მარაგები შედარებით დამაიმედებელია - მან უკვე 91%-ს გადააჭარბა, მაშინ როცა ევროკავშირის სამიზნე მაჩვენებელი 90%-ია. დამატებით, ჩინური მარაგებიც უჩვეულოდ მაღალ ნიშნულზეა, რაც ნაწილობრივ გასულ თვეებში დაფიქსირებული სუსტი ეკონომიკური აქტივობის შედეგია. შესაბამისად, ამ ფაქტორების გათვალისწინებით მომავალ თვეებში ბაზარზე სტაბილურობის მოლოდინია, მაგრამ თუ ზამთარი მოსალოდნელზე ცივი იქნება ბაზარზე ვოლატილობა გაჩნდება.

გრაფიკი 3: ბუნებრივი აირის ფასი (ICE Endex Dutch TTF), აშშ დოლარი/მვტ სთ



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 4: ბუნებრივი აირის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბუნებრივი აირის იმპორტის ღირებულება წლიურად 22.3%-ით შემცირდა 7თვ24-ში, რაც დაბალი საიმპორტო ფასის შედეგია, რადგან მოცულობა ბევრად ნაკლებად 7.8%-ით შემცირდა 6/6.

წყარო: საქსტატი



ძვირფასი ლითონები

ოქრო


2024 წლის აგვისტოში ოქროს ფასი თვეურად 2.3%-ით გაიზარდა. ოქროს ფასის ახალი რეკორდული ნიშნულები უკვე ჩვეული მოვლენაა ბოლო თვეების განმავლობაში - აგვისტოში ფასმა პირველად გადააჭარბა ერთ უნციაზე \$2,500-ის ღირებულება. აღსანიშნავია, რომ ამჟერად სიტუაცია ცოტა განსხვავებულია. მაშინ როცა, 20-თვიანი ზრდის მთავარი აქტორები ცენტრალური ბანკები და აზიური ინვესტორები იყვნენ, ახლა უკვე დასავლელი ტრეიდერებიც შეუერთდნენ მომენტუმს.

ოქროს ფასის ზრდა \$2,300-დან \$2,500-მდე, ძირითადად, ევროპელი და ამერიკელი ინვესტორების მიერ იყო ნაკარნახები, რომლებიც საკუთარ პორტფოლიოს დივერსიფიკაციას ძვირფასი მეტალით ცდილობდნენ, საპროცენტო განაკვეთების მოსალოდნელი კლების ფონზე. დაბალი განაკვეთები ოქროს მეტად მიმზიდველს ხდის, ვინაიდან დაბალპროცენტიან სახაზინო ობლიგაციებთან უფრო კონკურენტული აქტივი ხდება. შესაბამისად, ინვესტორები ელოდნენ ცხად სიგნალს, რომ განაკვეთების შემცირება ახლოვდებოდა. გასულ თვეში მსგავსი სიგნალი ფედერალური რეზერვის მმართველის განცხადება გახდა, რომ „დრო დადგა“ საპროცენტო განაკვეთებმა კლება დაიწყოს. Fed-ის შეხვედრა 17-18 სექტემბერს არის ჩანიშნული, ბაზარი კი 25 საბაზისო პუნქტიან შემცირებას ელის.

მიუხედავად იმისა, რომ ფასი მუდმივად იზრდებოდა, წლის დასაწყისში ოქროს ETF-ებიდან თანხის გადინება ფიქსირდებოდა. ეს, თავის მხრივ, იმის შედეგია, რომ ინვესტორები ბირჟის აქტივებს ფიზიკურ ოქროში ინვესტირებას ამჯობინებდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, გადინების ტრენდი მიმდინარე წლის ივნისიდან შეიცვალა - ETF-ებში ზედიზედ მეორე თვეში დაფიქსირდა ინვესტიციების ზრდა. დამატებით, დივალის დღესასწაულის მოახლოებასთან ერთად გაუმჯობესდა მოთხოვნა ინდოეთში. სავარაუდოა, რომ ოქროს იმპორტი ინდოეთში ამ პერიოდში გაიზარდება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ იმპორტის გადასახადზე შეღავათები გამოცხადებულა.


წლის დასაწყისიდან ოქროს ფასი 21.3%-ით არის გაზრდილი. მოთხოვნის დინამიკისა და არსებული გეოპოლიტიკური რისკებიდან გამომდინარე, მისი ფასის ზრდა, სავარაუდოა, რომ კვლავ გაგრძელდება. UBS-ის მიხედვით, ოქროს ღირებულებამ \$2,700-ს უნდა მიაღწიოს 2025 წლის შუისთვის.

გრაფიკი 5: ოქროს ფასი, აშშ დოლარი/უნცია



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 6: ოქროს ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ოქროს ექსპორტის მოცულობა წლიურად 7.8%-ით შემცირდა 7თვ24-ში. გლობალურად ფასის ზრდამ ექსპორტის საშუალო ფასზეც იმოქმედა, რომელიც წლიურად 21.5%-ით გაიზარდა.

წყარო: საქსტატი



სოფლის მეურნეობა


ამონიუმის ნიტრატის

2024 წლის აგვისტოში ამონიუმის ნიტრატის ფასი თვიურად 7.6%-ით გაიზარდა. სასუქების გლობალური მიწოდება, განსაკუთრებით კი შარდოვანის (urea) საგულისხმოდაა შემცირებული - ჩინური ექსპორტი, მთავრობის გადაწყვეტილებით, კვლავ ლიმიტირებულია. ივლისის მდგომარეობით, ჩინეთმა ამ პირობებშიც კი მოსალოდნელზე ნაკლები ექსპორტი განახორციელა. არასახარბიელოა სიტუაცია სხვა მწარმოებელ ქვეყნებშიც. ეგვიპტეს წარმოების შემცირება მოუწია, ვინაიდან ბუნებრივი აირის ელექტროსისტემაში გადამისამართება გახდა საჭირო ქსელის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. პრობლემები ფიქსირდება მალაიზიაში, რუსეთსა და ნიგერიაშიც.

ხორბალი


2024 წლის აგვისტოში ხორბლის ფასი თვიურად 1.0%-ით გაიზარდა. ფასები წლის დასაწყისიდან 19.2%-ით არის შემცირებული, თუმცა ცუდი ამინდის ეფექტი მოსავალზე თანდათან უფრო ცალსახა ხდება. საფრანგეთი, ევროკავშირის უმსხვილესი მწარმოებელი, წელს სავარაუდოდ 26 მლნ ტონა ხორბალს აწარმოებს, რაც წლიურად 26%-იანი კლებაა. მოსალოდნელია, რომ ქვეყნიდან მარცვლეულის ექსპორტი 2001-2002 წლების შემდეგ უმცირეს ნიშნულზე დაეცემა. ცხელმა ამინდებმა მოსავალი გააფუჭა ჩინეთის რეგიონებშიც. საპირწონედ, სხვა მწარმოებლები მეტ-ნაკლებად აბალანსებენ ბაზარს - რუსეთმა აგვისტოში 5.6 მლნ ტონა ხორბალი გაიტანა ექსპორტზე, რაც აგვისტოსთვის რეკორდული მაჩვენებელია.

გრაფიკი 7: ამონიუმის ნიტრატის ფასი (შავი ზღვის რეგიონი), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 8: ხორბლის ფასი (Black Sea wheat Financially Settled Futures), აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 9: აზოტოვანი სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



აზოტოვანი სასუქების ექსპორტის ღირებულება წლიურად 31.3%-ით შემცირდა 7ოვ24-ში. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის მოცულობა 9.1%-ით არის გაზრდილი, ხოლო საექსპორტო ფასი მნიშვნელოვნადაა შემცირებული (-37.0%).

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 10: ხორბლის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ხორბლის იმპორტის ღირებულება წლიურად 21.6%-ითაა გაზრდილი 7ოვ24-ში, ხოლო მოცულობა 44.4%-ით, რაც შემცირებული საშუალო იმპორტის ფასითაა გამოწვეული (-15.8% წ/წ).

წყარო: საქსტატი



ლითონები და მადნები


სპილენძის მადნები და კონცენტრატები

2024 წლის აგვისტოში სპილენძის ფასი თვიურად 0.2%-ით გაიზარდა. მიუხედავად მცირე ზრდისა, წითელი მეტალისადმი მოლოდინები ნაკლებად საიმედოა. Goldman Sachs-მა, რომელიც სპილენძის ფასთან დაკავშირებით ოპტიმისტური პროგნოზებით გამოირჩევა, საკუთარი ყიდვის პოზიცია დახურა და ფასის პროგნოზი ერთ ტონაზე \$15,000-დან \$10,100-მდე შეამცირა მომდევნო წლისათვის - მთავარ მიზეზად ჩინეთის მოსალოდნელზე სუსტი მოთხოვნა და ეკონომიკის რისკები დასახელდა. Goldman-ის მიხედვით, ეს არ ნიშნავს რომ ზრდა დამთავრდა, ის უბრალოდ „გადაიდო“ და მომენტუმი მოსალოდნელია რომ მოგვიანებით კვლავ დაბრუნდება.

ფეროსილიკონი


2024 წლის აგვისტოში ევროპული ფეროსილიკონის ფასი თვიურად 1.6%-ით, ჩინურის კი 0.8%-ით შემცირდა. სხვა მეტალების მსგავსად, ფეროსილიკონის ფასების კლებაც ჩინეთის სუსტ ეკონომიკას უკავშირდება. რკინის მადნის ფასი 2022 წლის შემდეგ პირველად დაეცა ტონაზე \$90-ზე დაბლა - ფასი დაახლოებით მესამედითაა შემცირებული წლის დასაწყისიდან. დამატებით, 2017 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი ფასი ფიქსირდება არმატურაზე, 4-წლიანი მინიმუმი კი ფოლადზე.

გრაფიკი 11: სპილენძის ფასი (LME), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 12: ფეროსილიკონის (75%-იანი სინჯი) ფასი, აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 13: სპილენძის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



სპილენძით საგარეო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი რეექსპორტია და გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული. 2023 წლის კლების შემდეგ, იმპორტისა და ექსპორტის მოცულობა დაბალ ნიშნულზეა 7თვე24-ში.

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 14: ფეროშენადნობების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ფეროშენადნობების ექსპორტის ღირებულება წლიურად 81.1%-ით, მოცულობა კი 95.2%-ით გაიზარდა 7თვე24-ში და 177,000 ტონა შეადგინა.

წყარო: საქსტატი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომხმარებელია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიმართ. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია შესაძლო მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. შესაძლოა მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმეულს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებაზე უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოფს დაცვას.

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge